

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის(მსს ფასს) შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს “მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა” (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2016 წლის 4 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405169598 იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 6გ. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2019 წლის 26 დეკემბრიდან.

1.2. კომპანიის წილის მფლობელები არიან: 80%-ს მფლობელი, დავით თაბაგარი (პ/ნ: 01009013472) და 20%-ს მფლობელი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ესემო-ფარმინა (ს/კ 202346498).

1.3. კომპანიის დირექტორია აპოლონ არდაშელია (პ.ნ 62001004754)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურების გაწევა, სამედიცინო - კლინიკური კვლევების ფარგლებში საჭირო სამედიცინო მომსახურების გაწევა, ჭიპლარის უჯრედების დამზადების და შენახვის მომსახურება.

1.5. კომპანიას არ ჰყავს შვილობილი.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება. კომპანიას აქვს მიდგომა 200 ლარამდე პროდუქცია არ აღიაროს ძირითად საშუალებად და აღიაროს პირდაპირ პერიოდის ხარჯად.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით შემდეგი საექსპლატაციო ვადის გათვალისწინებით:

შენობა ნაგებობები - 20 წელი;

არამატერიალური აქტივი - 10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8 წელი;

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სამედიცინო ინვენტარი - 4 წელი.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

სავაჭრო ვალდებულებები

სვაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე

თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მათგან მომავალში აღარაა მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის მოტანა, ან არ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და ბონუსები აღიარდება იმ წელს როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგება ან ზარალში როდესაც იგი იქნა გაწეული.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2019 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში	63	1518
ლარი საბანკო ანგარიშებზე	26011	17698
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	27469	3540
ევროები საბანკო ანგარიშებზე	147384	16
სულ:	176998	46701

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	775,368	738,558
სულ:	775,368	738,558

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიის საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს 5 არარეზიდენტი და 56 რეზიდენტი იურიდიული პირების წინაშე, სულ - 61 დებიტორი 31.12.2019 წ. მდგომარეობით.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	11361	1022
სულ:	11361	1022

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018
მიწის ნაკვეთი	268 720	-		268 720
დაუმთავრებელი მშენებლობა	218 242	+ 176 259		41 982
არამატერიალური აქტივები	875	-		875

მანქანა - დანადგარები	1 107 096	+ 296 438	112180	810 658
ოფისის აღჭურვილობა	84 781	+ 33 632	12642	51 149
ავეჯი და სხვა ინვენტარი	26 013	+ 1 450	4856	24 563
სამედიცინო ინვენტარი	24 775	+ 5 600	5144	19 175
სატრანსპორტო საშუალებები	3 000	-	300	3 000
სულ:	1 733 502	513 379	1 351 22	1 220 122

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - **295 790** ლარი.

2019 წლის ბოლოსთვის ძირითადი საშუალებების ნარჩენმა ღირებულებამ შეადგინა **1 437 712** ლარი.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	1 175 356	927 811
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	0	0
სულ:	1 175 356	927 811

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 87 რეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.7. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2019	ნაშთი 31.12.2018
გაუნაწილებელი მოგება	817 020	384 293
სულ:	817 020	384 293

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების

გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2019 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2019 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.10. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018-2019 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა სამედიცინო მომსახურებიდან და სამედიცინო კლინიკური კვლევებისთვის საჭირო სამედიცინო მომსახურებიდან.

	2019 წელი
სამედიცინო მომსახურებიდან შემოსავალი	5 050 947
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	- 3 092 775
საერთო მოგება	1 958 172

3.11. სხვა შემოსავლები და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

სხვა ხარჯების დასახელება	2019 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	620 444
ცვეთა და ამორტიზაცია	135 122
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	3 267
იჯარის ხარჯები	381 464
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	439 506
სულ საოპერაციო ხარჯები	1 579 802

3.12. წმინდა შემოსავლობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

	2019 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	5 998
უარყოფითი საკურსო სხვაობები	48 358
სულ:	54 357

3.13. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2017-2019 წლების ფინანსური შედეგი არ შემცირებულა დივიდენდის ხარჯზე. ამ წლების განმავლობაში კომპანიის მოგების რეინვესტირება ხდება კლინიკის განვითარებისთვის.

	2019 წელი
მოგება/(ზარალი)	432 727
სულ:	432 727

4. ფინანსური უწყისები:

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	176,998	46,701	9,830
სავაჭრო მოთხოვნები	775,368	738,558	674,832
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	67,160	11,361	1,022
მარაგები	232,280	112,604	67,746
- მზა პროდუქცია			
- სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	218,242	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-
- თვითღირებულების მოდელით		-	-
- გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	
სხვა არამატერიალური აქტივები		-	
ძირითადი საშუალებები	1,219,470	1,059,454	832,087
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	2,689,517	1,968,678	1,585,517

		1,957,317	1,584,496
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	1,175,356	927,811	795,889
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	218,167	258,450	183,209
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	6,205
გამოუმუშავებელი შემოსავალი მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			-
მიღებული გრანტები			-
სხვა ვალდებულებები			-
სულ ვალდებულებები	1,393,523	1,186,261	985,303
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	478,974	398,124	387,124
საემისიო შემოსავალი			-
გამოსყიდული საკუთარი აქციები			-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	817,020	384,293	213,091
გადაფასების რეზერვი			-
სხვა რეზერვები			-
სულ საკუთარი კაპიტალი	1,295,994	782,417	600,215
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2,689,517	1,968,678	1,585,517

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგ ებო პერიოდი	წინა საანგარიშგ ებო პერიოდი
	2019	2018
ნეტო ამონაგები	5,050,947	4,235,658
საქონლის გაყიდვიდან		

მომსახურების გაწევიდან	5,050,947	4,235,658
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3,092,775	2,788,023
საწყისი მარაგები	115,405	67,746
მარაგების შესყიდვა	559,716	556,174
გადამუშავების დანახარჯები	2,649,934	2,276,707
საბოლოო მარაგები	232,280	112,604
საერთო მოგება	1,958,172	1,447,635
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	620,444	463,591
ცვეთა და ამორტიზაცია	135,122	96,196
საპროცენტო შემოსავალი:	-	-
საპროცენტო ხარჯი :	3,267	-
იჯარის ხარჯი	381,464	375,440
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	439,506	346,351
სულ საოპერაციო ხარჯები	1,579,802	1,281,578
საოპერაციო მოგება	378,370	166,057
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	5,998	5,145
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	48,358	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	54,357	5,145
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	432,727	171,202
	432,727.14	171,202.43
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	782,417	600,215
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	80,850	11,000
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,295,994	782,417

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	46,612	22,021
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	80,850	11,000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	127,462	33,021
სავალუტო კურსის ეფექტი	2,835	3,849
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	46,701	9,830
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	176,998	46,701

5. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 22 ოქტომბერს.

შპს მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულას დირექტორი

აპოლონ არდაშელია